ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2238206

ნომერი: AR1343030

თარიღი : 21.09.2015

გაცემის თარიღი : 12.10.2015

გაცნობის თარიღი : 12.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბესიკი , N 4 , მიმდებარედ (ნაკვეთი N46/10);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გოლოძე პ/ნ 01025014199
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 4"ბ" ბ. 52

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ

ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბესიკის ქ. N 4–ის მიმდებარედ (ნაკვეთი N46/10, არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხს.
თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; საკადასტრო კოდი N01.15.05.046.010; ; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ბიზნეს ცენტრი ბესიკზე" კრების ოქმი N25–1 (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N151087632, 01.10.2015წ); არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–მთაწმინდა), ბესიკის ქ. N 4–ის მიმდებარედ (ნაკვეთი N46/10, არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას. გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.